182, 195, 198

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 დეკემბერი 2005 №276 (2599) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზამერმა საქართველო მოზოდიშებით იუარა

კლაუს ტოპმიოლერი, სრეჩკო კატანეცი და მათიას ზამერი — რა აერთიანებს ამ სამ ადამიანს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს — სამივე საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი იყო, ოღონდ გუშინდლამდე. რატომ გუშინდლამდე? იმიტომ, რომ მათი რაოდენობა უკვე შემცირდა — მათიას ზამერმა ქართული სამსახური იუარა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილაძის ცნობით, გუშინ ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი სამივე კანდიდატს ტელეფონით ესაუბრა და სწორედ ამის შემდეგ გაირკვა ზამერის ამბავიც. ჟღალ აღმოსავლეთგერმანელ სპეციალისტს უთქვამს, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ქართველების დაინტერესება, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწავლას ვაპირებ, კვალიფიკაციის ამაღლება მსურს და საამისოდ გერმანიაში დარჩენა აუცილებელიაო.

მოკლედ, ზამერი გამოირიცხა, თუმცა, როგორც თავშივე გითხარით, ნოდარ ახალკაცს ტოპმიოლერთან და კატანეცთანაც ჰქონდა სატელეფონო კონტაქტი და საკმაოდ დამაიმედებელი პასუხებიც მიიღო. ჰერ კლაუსს ახალკაცისთვის უთქვამს, მზად ვარ მოლაპარაკებისთვის და შემიძლია, საქართველოშიც ჩამოვიდეო. ტოპმიოლერს, სავარაუდოდ, 10 დეკემბრისთვის უნდა ველოდოთ და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იგი მეუღლესთან ერთად აპირებს თბილისში ჩამოსვლას, რაც მთლად უმნიშვნელო ამბავი არ უნდა იყოს.

დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა კატანეცთან დაკავშირებითაც. სლოვენიელი სპეციალისტი ოდნავ მოგვიანებით, 15 დეკემბერისთვის აპირებს ჩამოსვლას და მოლაპარაკების დაწყებას. ჩვენ კი გუშინ დანიაში მყოფ თურქ აგენტ ბაირამ თუთუმლუს შევეხმიანეთ და მისგან შევიტყვეთ, რომ იგი დღეს სლოვენიაში ჩავა და ხვალ გამართავს მოლაპარაკებას კატანეცთან.

ცნობილაძემ კი ისიც გვითხრა, რომ ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაკრების მწვრთნელთა კანდიდატების ძიება დამთავრებულია. პირიქით, პროცესი გრძელდება და ამ მოლაპარაკებების პარალელურად სფფ სხვა ვარიანტებსაც განიხილავსო, გვითხრა ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა.

**ქახა ზალამბერიძე**




## კლაუს ტოპმიოლერი: ჩემთვის საქართველო დიდი გამოწვევაა

### ახალკაცთან ხელფასზე ჯერ არ მისაუბრია

კლაუს ტოპმიოლერი, ვისი გაწვრთნილი „ლევერკუზენი" 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და მადრიდის „რეალთან" 1:2 წააგო, ახლა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარსარდლის პოსტზე სრეჩკო კატანეცთან ერთად ძალიან რეალური კანდიდატია.

მოლაპარაკება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ტოპმიოლერს შორის უკვე დაწყებულია და, ალბათ, გაგრძელდება კიდეც. ჰერ კლაუსს გუშინ სახლში დავურეკეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

— შევიტყვეთ, რომ დღეს ტელეფონით ესაუბრეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს — კონკრეტულად რაზე ილაპარაკეთ?

— საქართველოში ჩემ ჩამოსვლასა და შესაძლო კონტრაქტზე.

— ალბათ, თქვენს შესაძლო ხელფასზეც გქონდათ საუბარი ახალკაცთან...

— არა, ამ საკითხზე ჯერ არ გვისაუბრია.

— საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნა თქვენთვის დიდი გამოწვევა იქნება?

— დიახ, ეს ჩემთვის მართლაც დიდი გამოწვევა იქნებოდა და ასეთ შემოთავაზებას დიდი სიამოვნებით დავთანხმდებოდი.

— ალბათ იცით, რომ საქართველოში ეროვნული ნაკრებისგან ბევრს ითხოვენ...

— მე ვიცნობ ქართველ ფეხბურთელებს, თქვენ კარგი კონტინგენტი გყავთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა ძალიან ძნელია, მაგრამ ამ ფეხბურთელებით ეს შეუძლებელი არ არის.

— როდის ჩამოხვალთ საქართველოში ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად?

— ზუსტ თარიღს ვერ დაგისახელებთ, რადგან ეს ჯერ მე თვითონ არ ვიცი. ეს დამოკიდებულია ჩემსა და ახალკაცს შორის შეთანხმებაზე. ჩემი თბილისში ჩამოსვლის თარიღს ფიფას აგენტებისგან, ნიკოლას სკრელიასა და ალექსანდრე ტონიასგან შეიტყობთ.

— თქვენ არასოდეს გაგიწვრთნიათ ნაკრები გუნდები, არადა, კლუბის და ნაკრების გაწვრთნა სხვადასხვა სპეციფიკაა...

— კლუბსა და ნაკრებში მუშაობა მართლაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ჩემთვის ნაკრებში მუშაობა რთული არ იქნება.

**დავით თავართქილაძე**

## ფიფას სამი ტუზი







რონალდინიო, სამუელ ეტოო, ფრენკ ლამპარდი— ეს სამეული ფიფამ 2005 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატებად დაასახელა და გამარჯვებულს 19 დეკემბერს გამოავლენს. შეგახსენებთ, ფიფას ვერსიით, შარშანდელი წლის გამარჯვებული რონალდინიო გახდა და ძნელად სავარაუდოა, წლეულს ეს ჯილდო დათმოს. ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი დუბლთან ახლოსაა — „ოქროს ბურთი" ხომ უკვე ჩაიხუტა.

# ირლანდია, სლოვაკეთი, თურქეთი

## ქართველ 19-წლამდელებს მეტოქეები დაუკვინჭეს

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპზე ირლანდია, სლოვაკეთი და თურქეთი იქნებიან. კენჭისყრა გუშინ გაიმართა კვიპროსზე, სადაც 28 ნაკრები 7 ოთხგუნდა ჯგუფში განაწილდა — საქართველო მეორე კალათაში იყო, პირველი კალათიდან ირლანდია, მესამედან სლოვაკეთი, მეოთხედან კი თურქეთი გვერგო.

ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსნები გავლენ ფინალურ ეტაპზე, მათ დაემატებათ მასპინძელი პოლონეთი და 18-29 ივლისს სწორედ ეს უძლიერესი 8 ნაკრები გამოავლენს ჩემპიონს.

ჯერჯერობით უცნობია, სად და როდის გაიმართება ჩვენი ჯგუფის მატჩები — ვადა თებერვლიდან მაისამდეა. შეგახსენებთ, კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილმა 19-წლამდელებმა პირველ ეტაპზე სლოვენია-ესტონეთ-ლიტვის კამპანიაში პირველი ადგილი დაიკავეს.

**ილია ნანობაშვილი**

## უეფას თასი 2005-2006
## ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**A ჯგუფი**

**სლავია** (ჩეხეთი) 0:2 **მონაკო** (საფრანგეთი)
0:1, 0:2 მაულიდა (11, 71)

**ცსკა** (ბულგარეთი) 2:0 **ვიკინგი** (ნორვეგია)
1:0 იანევი (353), 2:0 ზადი (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სლავია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ვიკინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ცსკა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |

**B ჯგუფი**

**ბრონდბიუ** (დანია) 1:1 **ესპანიოლი** (ესპანეთი)
0:1 ტამუდო (42), 1:1 მოიზესი (66ს.კ.)

**მაკაბი** (ისრაელი) 0:4 **ლოკომოტივი** (რუსეთი)
0:1 ლოსკოვი (27), 0:2, 0:3 ლებედენკო (47, 48), 0:4 რუოპოლო (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| პალერმო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ესპანიოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბრონდბიუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| მაკაბი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**C ჯგუფი**

**სამპდორია** (იტალია) 0:0 **ჰერტა** (გერმანია)

**სტიაუა** (რუმინეთი) 3:0 **ჰალმსტადი** (შვედეთი)
1:0 რადოი (11), 2:0 გიონეა (63), 3:0 იაკობი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:0 | 7 |
| სამპდორია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ჰერტა | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ჰალმსტადი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

**D ჯგუფი**

**გრასჰოპერი** (შვეიცარია) 2:3 **დნიპრო** (უკრაინა)
0:1 ნაზარენკო (39), 0:2 კრავჩენკო (61), 0:3 მიხაილენკო (83), 1:3 დ. ტურე (85), 2:3 რენგლი (90)

**ლიტექსი** (ბულგარეთი) 0:2 **ალკმაარი** (ჰოლანდია)
0:1 ვან გალენი (10), 0:2 სეკტიოუ (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ალკმაარი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ლიტექსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| დნიპრო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| გრასჰოპერი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

### ბელგია

თასის 1/16 ფინალი

კალამინი — ბევერსხოტი გადაიდო
ვულევუ 2:3 სერკლი
ვარეგემი 2:1 ბრიუგე

### იტალია

თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

ატალანტა 1:0 უდინეზე
პარმა 0:1 ინტერი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩები

ტვენტე 1:0 სპარტა
ბრედა 2:2 გრონინგენი
ნაიმეგენი 2:0 ტილბურგი

### სლოვაკეთი

I ლიგა. XX ტური

დუბნიცა 1:0 ბანსკა ბისტრიცა
არტმედია 7:1 ინტერი
პუხოვი 0:0 ნიტრა
რუჟომბეროკი 1:0 ტრენჩინი
ჟილინა 1:0 ტრნავა

### ესპანეთი

თასის 1/16 ფინალი

ხერესი 2:2დ.დ. (6:7პენ; 2:2) *სარაგოსა*
ალკოიანო 0:1 *ატლეტიკო*

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სანდერლენდი 0:2 ლივერპული

ლიგის თასი. 1/8 ფინალი

*უიგანი* 1:0 ნიუკასლი
*ბოლტონი* 2:1 დ.დ. (0:0) ლესტერი
ჩარლტონი 2:3 *ბლეკბერნი*
*მანჩესტერი* 3:1 ვესტ ბრომვიჩი
*მიდლსბრო* 2:1 კრ. პალასი

### პოლონეთი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

ლეგია 2:0 კორონა
ვისლა 0:1 ზაგლებე

### ხორვატია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

ნაფტასი 1:1 *ვარტექსი* (1:4)

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის არც ერთი კანდიდატის ხსენებას იმხელა ინტერესი და მოწონება არ მოჰყოლია, როგორიც კლაუს ტოპმიოლერისას — ეს ნაღდია და მართო ჩვენი აზრი არაა. ჰერ კლაუსთან მოლაპარაკებაში ფიფას ქართველი აგენტი აკა ტონია მონაწილეობს. რა როგორ იქნება, როდის ჩამოვა ტოპმიოლერი საქართველოში და დაახლოებით რა თანხას დაჰყაბულდება, ეს სწორედ მისგან შევიტყოთ...*

# სად საამიროები და სად საქართველო

## კლაუს ტოპმიოლერი ქართულ ფეხბურთში უკვე ჩაერთო

— მალე კლაუს ტოპმიოლერი და ჩემი გერმანელი კოლეგა ნიკოლას სკრელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების დასაწყებად ჩამოვლენ. მე და სკრელიას მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და სწორედ მისი მეშვეობით დავიწყე ტოპმიოლერთან მოლაპარაკება.

— ტოპმიოლერს რამდენიმე სარფიან წინადადებაზე უთქვამს უარი. ცოტა საეჭვო ხომ არაა, საქართველოში იმაზე ნაკლებ თანხად მუშაობას დათანხმდეს, ვიდრე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სთავაზობდნენ...

— ტოპმიოლერს თურქული „ტრაბზონი“ 1,8 მილიონს სთავაზობდა, მაგრამ უარი თქვა. ჯერ ერთი, ნაკრებში მუშაობა კლუბთან შედარებით უფრო მომხიბვლელია, მეორეც, დასავლეთის საფეხბურთო წრეებში ჩვენი ნაკრები მიმზიდველ თემად რჩება და იგივე გერმანიაში ქართველი მოთამაშეები არცთუ უკანა პლანზე დგანან. გარდა ამისა, ჩემი და ჩემი გერმანელი კოლეგის თბილი ურთიერთობის დამსახურებაცაა, ტოპმიოლერი რომ შედარებით ნაკლებ თანხას დათანხმდა. ბატონმა კლაუსმა არაბებს საქართველო სპორტული თვალსაზრისით, „ტრაბზონს“ კი სანაკრებო პერსპექტივის გამო ამჯობინა.

— როგორ შეატყვე, ტოპმიოლერი აშკარად დაინტერესებული და მოწადინებულია საქართველოში მუშაობის პერსპექტივით?

— პერსპექტივას რომ ვერ ხედავდეს, ტოპმიოლერი საქართველოს ვარიანტზე არ დათანხმდებოდა. მკითხა, ვინ იყო მისი წინამორბედი ნაკრებში, გამომკითხა ბოლო შედეგები, საქართველოს ჩემპიონატის ფორმატი და კალენდარი. ერთი ვიცი, ბატონი კლაუსი ცდას არ დააკლებს წარმატების მისაღწევად — სადაც უმუშავია, ეს ყველგან გაუკეთებია. ჯერ კონკრეტული მოლაპარაკებები არ დაწყებულა და იგი უკვე ჩაერთო ქართულ ფეხბურთში.

...არ მინდა სუბიექტური ვიყო, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერი სხვა კანდიდატებზე საინტერესო თუნდაც იმითაა, რომ უმაღლეს შედეგებს



ორი-სამი წლის წინ მიაღწია და არა ადრეულ წლებში. როცა ტოპმიოლერის კანდიდატურა გაჟღერდა, ბევრმა ხელი ჩაიქნია, საქართველოში მუშაობას არ იკადრებსო, მაგრამ რეალობა სხვაგვარია — ეს არის მწვრთნელი, რომელიც ძალიან უფრთხილდება თავის იმიჯს, მაგრამ ჩამოდის, რათა თავის სამწვრთნელო კარიერაში ერთი წარმატებული ფურცელი კიდევ ჩაიწეროს.

**ილია ნანობაშვილი**

# სკონტომ გამეზარდაშვილი საახალწლოდ გადადო

**რიგის** „სკონტო“ ინგლისური ტურნედან დაბრუნდა და ხელმძღვანელობამაც ფეხბურთელები შვებულებაში გაუშვა. ინგლისში რიგელებს ოთხი ქართველი ახლდათ — ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით ჩალაძე და დავით გამეზარდაშვილი, თუმცა გუშინ ლატვიელმა ჟურნალისტებმა ერთი საინტერესო ცნობა გაავრცელეს: მათი თქმით, ჯერ კიდევ გაურკვეველია, დარჩებიან თუ არა გუნდში ჩალაძე და გამეზარდაშვილი. ჩალაძე რომ „სკონტოში“ დიდხანს არ გაჩერდებოდა, ადრეც ვიცოდით. აი, გამეზარდაშვილმა კი ახლახან კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რა შეიცვალა ისეთი, რომ მის ტრანსფერზე ლაპარაკი ხელახლა იწყება.

ლატვიელთა მტკიცებით, ამ ორი ფეხბურთელის საკითხი ნაახალწლევს გაირკვევა, როცა გუნდი შვებულებიდან დაბრუნდება.

შეგახსენებთ: ცოტა ხნის წინ „სკონტო“ უკვე დატოვა ერთმა ქართველმა — ლევან კორღალიძემ კვიპროსულ „ანართოსისს“ მიაშურა.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
17
პირველი წრე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# 17 ტური

**საგარეჯო 0:1 ლოკომოტივი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 17 | 13 | 2 | 2 | 52:20 | 41 |
| მერანი | 17 | 12 | 3 | 2 | 28:10 | 39 |
| ამერი 2 | 17 | 10 | 2 | 5 | 25:14 | 32 |
| დინამო 2 | 17 | 9 | 4 | 4 | 27:11 | 31 |
| მეშაქრე | 17 | 9 | 3 | 5 | 28:16 | 30 |
| გაგრა | 16 | 8 | 5 | 3 | 21:13 | 29 |
| რუსთავი | 17 | 8 | 4 | 5 | 28:19 | 28 |
| გურია | 17 | 7 | 4 | 6 | 27:20 | 25 |
| მესხეთი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:20 | 25 |
| მეშახტე | 17 | 6 | 6 | 5 | 19:12 | 24 |
| საგარეჯო | 17 | 6 | 3 | 8 | 16:17 | 21 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 17 | 5 | 4 | 8 | 14:20 | 19 |
| ზუგდიდი | 17 | 5 | 4 | 8 | 8:16 | 19 |
| ლოკომოტივი 2 | 17 | 5 | 1 | 11 | 14:33 | 16 |
| თბილისი 2 | 17 | 4 | 4 | 9 | 18:30 | 16 |
| ზესტაფონი 2 | 16 | 5 | 0 | 11 | 14:30 | 15 |
| ლიახვი | 17 | 3 | 0 | 14 | 15:46 | 9 |
| მალარიოელი | 17 | 2 | 3 | 12 | 11:40 | 9 |

# მეგობრობა უფულოდ

## რუსები ყველას: ჩვენთან თვითმომსახურებაა

**„თანამეგობრობის თასზე“** თბილისის „დინამოს“ მეტოქეები რომ გაირკვნენ, ამას წინათ გამცნეთ.

საბოლოოდ გადაწყდა ისიც, რომ ტურნირი მოსკოვში, სპორტკომპლექს „ოლიმპიისკიში“ და „დინამოს“ მანეჟში ჩატარდება. გუნდები ოთხ ჯგუფში განაწილდნენ და მეოთხედფინალში ორ-ორი საუკეთესო ვავა.

ჯგუფური ეტაპის მატჩები 14, 15 და 17 იანვარს გაიმართება, ფინალი კი 22 იანვარსაა დანიშნული.

რუსი ჟურნალისტების ცნობით, „თანამეგობრობის თასი 2006“-ს საპრიზო ფონდი არ გააჩნია.

**ბახა შალამბერიძე**

**A ჯგუფი**

**ცსკა** (რუსეთი), **„დინამო“** (საქართველო), **ფახთაქორი** (უზბეკეთი), **ტვმკ** (ესტონეთი)

**B ჯგუფი**

**ნეფთჩი** (აზერბაიჯანი), **აქტობე** (ყაზახეთი), **„ვახში“** (ტაჯიკეთი), **მეტალურგსი** (ლატვია)

**C ჯგუფი**

**შახტარი** (უკრაინა), **შერიფი** (მოლდოვა), **მტტუ** (თურქმენეთი), **„დორდოი-დინამო“** (ყირგიზეთი)

**D ჯგუფი**

**„პიუნიკი“** (სომხეთი), **„შახტიორი“** (ბელარუსი), **„ეკრანასი“** (ლიტვა), რუსეთის ჭაბუკთა ნაკრები (უკონკურსო).

# აინ, ცვაი, დრაი მილიონები...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენციაზე ბრძანა, ნაკრებისთვის ახალი მწვრთნელის შერჩევა ფასის და ხარისხის ოპტიმალური კომბინაციით მოხდებაო.

პრეზიდენტის ამ ნათქვამს კაცი წუნს ვერ მოუძებნის, მაგრამ რამდენიმე კითხვას მაინც ტოვებს. კერძოდ, რამდენია ხელფასის ის ოდენობა, რომელზე მეტსაც მწვრთნელს ვერ გადავუხდით?

თუმცა ამ კითხვაზე პასუხის ხმამაღლა გაცემა ჯერჯერობით არც უნდა მოვითხოვოთ, რადგან მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობისას ასეთ საკითხებზე ხმამაღლა არ საუბრობენ: შეიძლება მილიონის გადამხდელი იყო, მწვრთნელობის კანდიდატი კი ნახევარ მილიონზეც ყაბულს იყოს — კარტები წინასწარ არ უნდა გაშალო.

აი, მწვრთნელის კვალიფიკაციაზე ლაპარაკი კი შეიძლება. პრეზიდენტი მწვრთნელობის კანდიდატებად ასახელებს მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთგზის მონაწილე ბორა მილუტინოვიჩსაც და არანაირი შედეგის მქონე იოჰან ნეესკენსსაც, რითაც, ცოტა არ იყოს, გვაბნევს: ველარ გაგვიგია, სად გადის კვალიფიკაციის ის ზღვარი, რომლის ქვემოთ მყოფი სპეციალისტების კანდიდატურები უბრალოდ არც უნდა განვიხილოთ.

ეს ისე, შესავლად. ქვემოთ კი ხელფასებზე გვექნება ლაპარაკი.

მაინც რა ღირს მწვრთნელი? ეს ის საკითხია, რომელზეც ზოგადი მსჯელობა ბევრს არაფერს მოგვცემს და სჯობს, კონკრეტული ფასები დავასახელოთ.

ქვემოთ ბუნდესლიგის მწვრთნელთა სახელფასო განაკვეთებს წარმოგიდგენთ, რაც ამ მწვრთნელებმა 2003 წელს მიიღეს. რატომ 2003 წლის ხელფასები და არა შარშანდელი ან წლევანდელი?

მიზეზი მარტივია: ოტმარ ჰიცფელდი მეორე სეზონია, უმუშევარია, კლაუს ტოპმიოლერიც რამდენიმე თვეა, ალარავის წვრთნის და ბუნდესლიგის ამ ორი უგანთქმულესი მწვრთნელის ხელფასების გარეშე ჩამონათვალი დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა. თანაც ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებში გერმანულ კლუბებს დიდი მიღწევები ჰქონდათ — „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, „ლევერკუზენმა“ და „დორტმუნდმა“ ევროთასების ფინალებში ითამაშეს, „კაიზერსლაუტერნი“ უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა. ერთი სიტყვით, იმ დროს გერმანულ ფეხბურთს ახლანდელზე მეტი „გასავალი“ ჰქონდა და, შესაბამისად, იქ მომუშავე მწვრთნელებიც მაქსიმალურ ხელფას-პრემიებს იღებდნენ...

ნიკა დონაძე გერმანიიდან




## ბუნდესლიგის მწვრთნელთა ხელფასები

| | | |
|---|---|---|
| მათიას ზამერი | დორტმუნდი | [illegible] |
| ოტმარ ჰიცფელდი | ბაიერნი | 2.4 მილიონი |
| კლაუს ტოპმიოლერი | ლევერკუზენი | 2.04 მილიონი |
| ჰუუბ სტევენსი | ჰერტა | 2 მილიონი |
| პეტერ ნოირურერი | ბოხუმი | 1.44 მილიონი |
| კურტ იარა | ჰამბურგი | 1 მილიონი |
| ვოლფგანგ ვოლფი | ვოლფსბურგი | 804 ათასი |
| თომას შაафი | ვერდერი | 780 ათასი |
| ერიკ გერეტსი | ლაუტერნი | 750 ათასი |
| რალფ რანგნიკი | ჰანოვერი | 600 ათასი |
| ედუარდ გაიერი | კოტბუსი | 420 ათასი |
| ჰანს მაიერი | გლადბახი | 408 ათასი |
| პეტერ პაკულტი | მიუნხენ 1860 | 402 ათასი |
| ფრანკ ნოიბარტი | შალკე | 402 ათასი |
| არმინ ვეჰი | ჰანზა | 360 ათასი |
| კლაუს აუგენტალერი | ნიურნბერგი | 360 ათასი |
| ბენო მიოლმანი | არმინია | 348 ათასი |
| ფელიქს მაგათი | შტუტგარტი | 348 ათასი |

თანხა მოცემულია ევროებში

ამ ჩამონათვალში, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მხოლოდ ხელფასებია მოცემული, თუმცა მწვრთნელთა შემოსავლები, ცხადია, პრემიებისგანაც შედგება. ოღონდ პრემიების დაანგარიშების წესი, რაოდენობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყველა კლუბში განსხვავებულია.

ვთქვათ, „კოტბუსის“ მწვრთნელისთვის, შესაძლოა, პრემია ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის დაეწესებინათ, მაგრამ „ბაიერნის“ მწვრთნელს ამაში პრემიას, ცხადია, არავინ მისცემს — „ბაიერნში“ პრემიებს ჩემპიონობისთვის და ლიგაში ეტაპების გადალახვაში იძლევიან.

მოკლედ, მომდევნო ცხრილში ბუნდესლიგის თვრამეტი მწვრთნელის პრემიები დავითვალოთ.

## ბუნდესლიგის მწვრთნელთა პრემიები

| | | |
|---|---|---|
| მათიას ზამერი | დორტმუნდი | 250 ათასი |
| ოტმარ ჰიცფელდი | ბაიერნი | 930 ათასი |
| კლაუს ტოპმიოლერი | ლევერკუზენი | 480 ათასი |
| ჰუუბ სტევენსი | ჰერტა | — |
| პეტერ ნოირურერი | ბოხუმი | 140 ათასი |
| კურტ იარა | ჰამბურგი | 310 ათასი |
| ვოლფგანგ ვოლფი | ვოლფსბურგი | 40 ათასი |
| თომას შააფი | ვერდერი | 390 ათასი |
| ერიკ გერეტსი | ლაუტერნი | 195 ათასი |
| რალფ რანგნიკი | ჰანოვერი | 80 ათასი |
| ედუარდ გაიერი | კოტბუსი | — |
| ჰანს მაიერი | გლადბახი | 100 ათასი |
| პეტერ პაკულტი | მიუნხენ 1860 | 348 ათასი |
| ფრანკ ნოიბარტი | შალკე | 202 ათასი |
| არმინ ვეჰი | ჰანზა | 65 ათასი |
| კლაუს აუგენტალერი | ნიურნბერგი | 242 ათასი |
| ბენო მიოლმანი | არმინია | 126 ათასი |
| ფელიქს მაგათი | შტუტგარტი | 423 ათასი |

ხელფასს და პრემიას მწვრთნელს კლუბი უხდის, თუმცა მწვრთნელებს შემოსავლის სხვა, არასაკლუბო წყაროც აქვთ — რეკლამა. მომდევნო ცხრილში სწორედ ბუნდესლიგის მწვრთნელთა სარეკლამო შემოსავლებია ჩამოთვლილი.

აქ პირველ რიგში კითხვის ნიშნების სიმრავლე გეცემათ თვალში, ოღონდ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მწვრთნელებს, რომელთა გვარების გასწვრივაც თანხა არ წერია, სარეკლამო შემოსავლები არ ჰქონდათ. უბრალოდ, ამ მწვრთნელების სარეკლამო შემოსავლების ოდენობა უცნობია.

ერთი დაკვირვებაც: თუ მწვრთნელის ხელფასი მეტწილად მის ძველ დამსახურებებზეა დამოკიდებული, პრემიების რაოდენობა კი მიმდინარე მიღწევებზე, სარეკლამო ბიზნესში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. აქ მთავარი ქარიზმაა. მაგალითისთვის გერმანული არხების ნახვაც კმარა, სადაც მათიას ზამერს ძალიან ხშირად ნახავთ სარეკლამო რგოლებში, მასზე წარმატებულ კლაუს ტოპმიოლერს კი ალბათ ვერასდროს.

## ბუნდესლიგის მწვრთნელთა სარეკლამო შემოსავალი

| | | |
|---|---|---|
| მათიას ზამერი | დორტმუნდი | ? |
| ოტმარ ჰიცფელდი | ბაიერნი | 250 ათასი |
| კლაუს ტოპმიოლერი | ლევერკუზენი | ? |
| ჰუუბ სტევენსი | ჰერტა | ? |
| პეტერ ნოირურერი | ბოხუმი | 100 ათასი |
| კურტ იარა | ჰამბურგი | ? |
| ვოლფგანგ ვოლფი | ვოლფსბურგი | ? |
| თომას შააფი | ვერდერი | ? |
| ერიკ გერეტსი | ლაუტერნი | ? |
| რალფ რანგნიკი | ჰანოვერი | 25 ათასი |
| ედუარდ გაიერი | კოტბუსი | ? |
| ჰანს მაიერი | გლადბახი | 40 ათასი |
| პეტერ პაკულტი | მიუნხენ 1860 | ? |
| ფრანკ ნოიბარტი | შალკე | ? |
| არმინ ვეჰი | ჰანზა | 50 ათასი |
| კლაუს აუგენტალერი | ნიურნბერგი | 50 ათასი |
| ბენო მიოლმანი | არმინია | 20 ათასი |
| ფელიქს მაგათი | შტუტგარტი | ? |

ბოლოს კი შეგვიძლია წარმოდგენილი სამი ცხრილი შევაჯამოთ და შევიტყოთ, რომელმა ბუნდესლიგელმა მწვრთნელმა მოიხვეჭა ყველაზე მეტი ფული 2003 წელს...

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## ნოემბრის მიმოხილვა

*ნოემბერში მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის ოთხი ტური გაიმართა და თვის საუკეთესო მწვრთნელი „სარბიელის“ ვერსიით ბოლნისის „სიონის“ დამრიგებელი ხვიჩა ქასრაშვილი გახდა...*



*ნოემბრის საუკეთესო ფეხბურთელად კი დავასახელეთ თბილისის „დინამოს“ მარჯვენაფლანგელი კახა ალადაშვილია, რომელიც ნოემბრის ოთხი ტურიდან სამჯერ მოხვდა „სარბიელის“ სიმბოლურ ნაკრებში.*

*თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ალადაშვილი „დინამოს“ ერთ-ერთ ლიდერად იქცა...*

## ხვიჩა ქასრაშვილი: ჩემი და ფეხბურთელების დარჩენა-არდარჩენის საქმე გაურკვეველია

— ნებისმიერი გამარჯვება მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენთვის ნოემბერში ყველაზე უფრო „ამერთან“ სტუმრად მოგება იყო ფასეული — მატჩის ბოლო წუთებზე მეტოქის მეკარის უხეში შეცდომის წყალობით მოვიგეთ.

**— მეორე წრეშიც თქვენ იქნებით „სიონის“ მწვრთნელი?**

— ახალი კონტრაქტი გამზადებულია და შესაძლოა, ჩემი „სიონთან“ ხელშეკრულება გახანგრძლივდეს. ჯერ ბოლნისის გამგებელს უნდა შევხდე და ყველაფერი მერე გაირკვევა.

**— როგორც შევიტყვეთ, „სიონიდან“ ბევრი ფეხბურთელი აპირებს წასვლას...**

— ყველაფერ ამასთან დაკავშირებით საქმის კურსში ვარ — „სიონის“ ფეხბურთელებს მართლაც აქვთ წინადადებები სხვა გუნდებიდან, მაგრამ ისიცაა, რომ „სიონშიც“ არაა ცუდი პირობები. მოკლედ, ფეხბურთელების შენარჩუნებას ვეცდებით, ყველაფერი ორ-სამ დღეში გადაწყდება.

**— მიმდინარე ჩემპიონატის მეცხრე ტურში „სიონმა“ ძალიან უსუსურად ითამაშა — „დინამოსთან“ 0:3 წააგო — რა იყო ამის მიზეზი?**

— „სიონის“ რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული იყო, თანაც იმ მატჩამდე ბოლნისში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა ყაზახეთთან და ჩვენ



ექვსი-შვიდი ვარჯიში ფაქტობრივად ჩაგვივარდა, რადგან არ გვინდოდა, რომ სანაკრებო მატჩისთვის მოედანი ცუდ მდგომარეობაში ყოფილიყო. „დინამოსთან“ უსუსურად თამაშის მიზეზი ისიც იყო, რომ ჩვენი ფეხბურთელები ძალიან მონდომებულები იყვნენ და ამან მათზე ცუდად იმოქმედა, ისინი გადაიწვნენ.

**— პირველი წრის მიხედვით თქვენი გუნდიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?**

— ვფიქრობ, შეიძლებოდა, რომ დვალი, ხმალაძე, ჩიკვილაძე, კვიტაიშვილი და ქუცურუა ახალგაზრდულ ნაკრებში გამოეძახათ, ეროვნულში კი ბოლქვაძისთვის, მიკუჩაძისთვის და დოლიძისთვის მიეცათ შანსი. სხვა გუნდებიდან გამოვარჩევდი მარცვალაძეს, მეგრელაძეს, დილმელაშვილს, დავითაშვილს, მესხს, თოთლაძეს... ყველას ვერ ჩამოვთვლი, ისე, კარგი ახალგაზრდები ჰყავს „ტორპედოსაც“.

**დავით თავართქილაძე**

### სიმბოლური ნაკრები

გია მეგრელაძე — დინამო

ზურაბ იონანიძე — ზესტაფონი

ოთარ მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია

ალეკო კოშკაძე — ამერი

გიორგი დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია

დავით სირაძე — ლოკომოტივი

კახა ალადაშვილი — დინამო

როინ ონიანი — ლოკომოტივი

ვახტანგ ხვადაგიანი — ამერი

თენგიზ ჩიკვილაძე — სიონი

გრიგოლ ჭანტურია — ლოკომოტივი

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

| გუნდი | ქალაქი/სტადიონი | თამაშების რაოდენობა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| ტორპედო | ქუთაისი/ტორპედო | 2 | 8,3 |
| ამერი | თბილისი/ამერი | 2 | 8,1 |
| ზესტაფონი | ზესტაფონი/ცენტრალური | 2 | 7,9 |
| სიონი | ბოლნისი/თ. სტეფანია | 2 | 7,0 |
| კახეთი | თელავი/გ. ჩოხელი | 2 | 6,8 |
| თბილისი | თბილისი/ოლიმპი | 2 | 6,1 |
| დინამო | თბილისი/ეროვნული | 2 | 5,9 |
| ბათუმი | ბათუმი/დინამო | 2 | 5,9 |
| დილა | გორი/თ. ბურჯანაძე | 2 | 5,5 |
| ლოკომოტივი | თბილისი/მ. მესხი | 2 | 5,4 |
| სპარტაკი | თბილისი/შევარდენი | 2 | 5,4 |
| სოხუმი | თბილისი/შევარდენი | 2 | 5,2 |
| ვიტ ჯორჯია | მცხეთა/არმაზი | 2 | 4,6 |
| კოლხეთი | ფოთი/ფაზისი | 2 | 4,6 |
| ბორჯომი | ოლიმპიკი/ჯ. ზეინკლიშვილი | 2 | 4,4 |
| ცხინვალი | გორი/ქართლი | 2 | 3,7 |

### ნოემბრის ანგარიშები

**მეთორმეტე ტური**

5 ნოემბერი, შაბათი

ამერი 0:1 სპარტაკი

სიონი 1:0 ბორჯომი

ტორპედო 2:2 ვიტ ჯორჯია

ბათუმი 2:2 ზესტაფონი

კოლხეთი 2:1 თბილისი

6 ნოემბერი, კვირა

ლოკომოტივი 3:0 ცხინვალი

დილა 0:2 დინამო

სოხუმი 2:0 კახეთი

**მეცამეტე ტური**

13 ნოემბერი, კვირა

კახეთი 1:2 ამერი

თბილისი 4:3 სოხუმი

ზესტაფონი 3:0 კოლხეთი

დინამო 3:1 ბათუმი

ცხინვალი 2:2 დილა

ვიტ ჯორჯია 2:0 ლოკომოტივი

ბორჯომი 1:0 ტორპედო

14 ნოემბერი, ორშაბათი

სპარტაკი 1:1 სიონი

**მეთოთხმეტე ტური**

19 ნოემბერი, შაბათი

ამერი 0:1 სიონი

ტორპედო 1:0 სპარტაკი

ლოკომოტივი 2:1 ბორჯომი

დილა 1:3 ვიტ ჯორჯია

ბათუმი 0:0 ცხინვალი

კოლხეთი 0:0 დინამო

კახეთი 1:1 თბილისი

20 ნოემბერი, კვირა

სოხუმი 0:1 ზესტაფონი

**მეთხუთმეტე ტური**

26 ნოემბერი, შაბათი

თბილისი 0:0 ამერი

ცხინვალი 1:3 კოლხეთი

ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი

ბორჯომი 4:3 დილა

სიონი 3:1 ტორპედო

27 ნოემბერი, კვირა

ზესტაფონი 4:0 კახეთი

დინამო 4:0 სოხუმი

28 ნოემბერი, ორშაბათი

სპარტაკი 0:6 ლოკომოტივი

### ნოემბრის ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| სიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ამერი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ბორჯომი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| თბილისი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ბათუმი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | 3 |
| ტორპედო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| სოხუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ცხინვალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| დილა | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | 1 |
| კახეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |

### საერთო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 15 | 11 | 3 | 1 | 33:10 | 36 |
| სიონი | 15 | 11 | 2 | 2 | 28:12 | 35 |
| ლოკომოტივი | 15 | 10 | 3 | 2 | 26:6 | 33 |
| დინამო | 15 | 10 | 2 | 3 | 25:7 | 32 |
| ბორჯომი | 15 | 10 | 0 | 5 | 29:15 | 30 |
| ამერი | 15 | 9 | 2 | 4 | 15:9 | 29 |
| ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:11 | 27 |
| კოლხეთი | 15 | 7 | 1 | 7 | 16:17 | 22 |
| ბათუმი | 15 | 6 | 4 | 5 | 13:12 | 22 |
| დილა | 15 | 5 | 1 | 9 | 21:24 | 16 |
| კახეთი | 15 | 5 | 1 | 9 | 14:25 | 16 |
| ტორპედო | 15 | 3 | 4 | 8 | 10:17 | 13 |
| ცხინვალი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:26 | 12 |
| სოხუმი | 15 | 3 | 1 | 11 | 14:36 | 10 |
| თბილისი | 15 | 1 | 2 | 12 | 9:29 | 5 |
| სპარტაკი | 15 | 1 | 2 | 12 | 3:28 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




არსენ ვენგერი „არსენალიდან“ წასვლას არ აპირებს

# ვენგერი პერესს უარს უთვლის

**წუხელ** არსენ ვენგერმა უთხრა მადრიდის „რეალის“ უფროსობას, თავი დამანებეთო.

მადრიდელთა პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ძალიან უნდოდა ვენგერი თავისი გუნდის მწვრთნელად წაეყვანა, ფრანგს კი თან თანამემამულე ტიერი ანრიც გადაეყვანა.

პერესს ეგონა, რომ ვენგერი სიხარულით მიიღებდა ამ წინადადებას, მაგრამ „მეთოფეთა“ თავკაცის სახალხო პასუხი ასეთი იყო: „პერესს კარგი სურვილი აქვს, ეს სასიამოვნოა, მაგრამ მე 2008 წლამდე მაქვს კონტრაქტი „არსენალთან“ და აქ დარჩენა მინდა.

აქვე ითქვას და ეს მადრიდელთა მესამე ცდაა ვენგერის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისაყვანად. ჰოდა, ფლორენტინო პერესი ამბობდა, მესამე იღბლიანი იქნებაო.

გასულ კვირაში „რეალმა“ მთელი მანქანა აამუშავა: დევიდ ბექემი ტიერი ანრის „რეალში“ გადასვლას მოუწოდებდა. „ამ მოწოდებამ არ გამაოცა — თქვა ვენგერმა — ტიერი მსოფლიოში საუკეთესო თავდამსხმელია. თუმცა, ვიზრუნებ, რომ ის ჩემთან დარჩეს“.

პერესმა კი განაცხადა: „საუკეთესო მწვრთნელები და ფეხბურთელები ყოველთვის „რეალში“ მუშაობდნენ. ზიდანი, ფიგუ, რონალდო და ბექემი მოვიყვანეთ. ყველა ამათგანზე ამბობდნენ, რომ მათ გადმოყვანას ვერ მოვახერხებდით. ჩვენ მარტო გამარჯვებები არ გვინდა, ჩვენ სპექტაკლიც გვჭირდება“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# საპატიო ყარაული ჯორჯისთვის




AFP მანჩესტერიდან

**გუშინ** საღამოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ 1968 წლის შემადგენლობამ საპატიო ყარაული მოაწყო ჯორჯ ბესტის ხსოვნის პატივსაცემად.

ყარაულის ორგანიზატორი მანჩესტერელი ვეტერანი დევიდ სედლერი იყო და ის „ოლდ ტრეფორდზე“, „მანჩესტერ“ — „ვესტ ბრომვიჩის“ სათასო თამაშის წინ მოეწყო. 68 წლის ბიჭები ერთ რიგად ჩამწკრივდნენ. იმ შემადგენლობიდან გარდაცვლილია კიდევ ერთი ფეხბურთელი, შეი ბრენანი.

ალექს ფერგიუსონმა თავისი გუნდის უფროს მოთამაშეებსაც უბრძანა ყარაულში დგომა.

საპატიო სტუმრად ბესტის ვაჟი, კალუმი იყო მიწვეული.

საშაბათოდ კი, ჩრდილოეთ ირლანდიაში ყველა საფეხბურთო მატჩი გადაიდო. ბესტის დაკრძალვაზე ნახევარ მილიონამდე ადამიანს ელიან.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ძილი ნებისა, ფრენკ
## ლიგა სულ სხვაა

**ფრენკ ლამპარდზე გვინდა გითხრათ, თორემ ისე გამოდის, რომ „ოქროს ბურთის“ ლაურეატ რონალდინიოზე ორი დღე ვილაპარაკეთ, ხოლო ევროპელ ჟურნალისტთა რეფერენდუმში მეორე ადგილზე გასულ ინგლისელზე ფაქტობრივად, არაფერი გვითქვამს. არადა, დაგვეთანხმებით, „ჩელსის“ ნახევარმცველი აშკარად იმსახურებს ქებას და აღფრთოვანებას, მითუფრო, რომ მისი შედეგი შთამბეჭდავია — ზედიზედ 160 თამაში პრემიერლიგაში! ეს რეკორდია, რომელიც ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში დამყარდა. მანამდე, 159 შეხვედრით რეკორდსმენი მეკარე დევიდ ჯეიმსი იყო**



AFP

ფრენკ ლამპარდმა პრემიერლიგის ახალი რეკორდი დაამყარა

**აი, რას** ამბობს ამის თაობაზე 27 წლის ვარსკვლავი: „მე საუცხოო მეთოდს მივაგენი — ერთმანეთის მონაცვლეობით დაუღალავი შრომა და ასეთივე დასვენება. საერთოდაც, ჩემი მეთოდები მაქვს. ჩემებურად ვვარჯიშობ, ჩემებურად ვჭამ, ჩემებურად ვცხოვრობ... დიდ ყურადღებას ვაქცევ იმას, რომ თამაშებს შორის ზედმეტი არაფერი მომივიდეს.

როგორც კი თავისუფალ დროს ვიხელთებ, შინ მივდივარ, ვწვები და ფეხებს ზევით ვწევ, რაც შეიძლება დიდხანს. ერთი სიტყვით, ზოგ დღეებში ფეხების დაუნანებლად ვვარჯიშობ, ზოგში კი პედლებს ვუშვებ. ამიტომაც შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი წარმატება ერთი კონკრეტული რამით არ არის განპირობებული. აქ მთავარი სხვადასხვა მოქმედებათა კომბინირებაა.

დიეტა? დიეტა, რასაკვირველია მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრი რომ არ მეძინოს, მარტო დიეტა ვერაფერს შემმატებდა. მოკლედ, ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე და ეს მომავალშიც გამომადგება, თუმცა, რასაკვირველია ბედმაც გამიღიმა, ტრავმამ რომ არ ამომაგდო კალაპოტიდან“.

ასეთი გახლავთ ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის და იმედის რეჟიმი, რომელიც საკუთარმა ოთხი თვის გოგონამ, ლუნამაც კი ვერ შეაცვლევინა.

„საბედნიეროდ, ბავშვს მეტწილად სძინავს, მაგრამ როდესაც ტირის, მე სხვა ოთახში გავდივარ, მას კი გადიას ვუტოვებ. ვიცი, რომ ძილი ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ხშირად შუადღის ძილიც მჭირდება“.

შემდეგ კი ლამპარდი ასე ბრძანებს: „ყველაფერზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ გუნდთან ერთად ჯილდოებს ვიგებ“.

რაც შეეხება „ჩელსის“ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს, ის დარწმუნებულია, რომ ლამპარდი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზითაა დასაჯილდოვებელი.

„ბედნიერი ვარ, ჩემ სახელს საუკეთესოთა შორის რომ ასახელებენ — ამბობს ფეხბურთელი — რაც შეეხება მსოფლიოს საუკეთესოობას, ამაზე არც „ვიქაჩები“. მსიამოვნებს ზედა ეშელონებში რომ ვარ და ყველა ღონეს ვიხმარ, იქ რომ დავრჩე“.

და ბოლოს მიმდინარე ამბებზე: ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში „ჩელსის“ ფინალისკენ გზა „ლივერპულმა“ რომ გადაუჭრა, მოგეხსენებათ. იგივე „ლივერპული“ კვლავ ლონდონელთა მეტოქე შეიქნა G ჯგუფში, რომლის ბოლო შეხვედრა მომავალ კვირაშია. ერთმანეთს სწორედ „ჩელსი“ და „ლივერპული“ ხვდებიან.

„ჩვენთვის ეს თამაში მნიშვნელოვანია, რადგან იმთავითვე ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა გვქონდა დაგეგმილი და ამ მიზანზე ხელი არ აგვიღია. „ლივერპულზე“ რა გითხრათ, ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან ყოველთვის საინტერესო თამაშები გამოგვდის, რაც მსიამოვნებს. ვიცი, მეტოქეც დამუხტული იქნება, ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა, თავი იმაში დავარწმუნოთ, რომ მოგება ჩვენ უფრო გვინდა. საერთოდ, ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან ზედიზედ ორი სეზონი მეტისმეტად ახლოს, ნახევარფინალში ვიყავით და ხელი მოგვეცარა. ვფიქრობ, დროა ჩვენ გავიმარჯვოთ. ჩემპიონთა ლიგა ამის მაჩვენებელია. მაგალითად, „არსენალს“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის, რომ ლიგა არ მოუგია, მასზე, როგორც მართლა უძლიერეს გუნდზე არ მეტყველებს. აი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ სხვაა“.

**პაპუნა ბედია**



ხოაკინ კაპაროსს „დეპორტივო“ ენდობა

# კაპაროსი 2009-მდე

**გაისად** გალისიური „დეპორტივო“ ასი წლის ხდება. ჰოდა, ლაკორუნიული კლუბის უროსობაც „სენტენარიოსთვის“ ემზადება — „დეპორის“ პრეზიდენტი აუგუსტო სესარ ლენდოირო და მწვრთნელ ხოაკინ კაპაროსის აგენტი ხუან მარაკერი ორიოდე დღის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და ახალი კონტრაქტის თაობაზე ითათბირეს. შედეგად, „დეპორტივომ“ კაპაროსს ხელშეკრულება კიდევ სამი წლით გაუხანგრძლივა ანუ გალისიელთა დამრიგებელი გუნდს 2009 წლის 30 ივნისამდე გაწვრთნის.

„ხოაკინ კაპაროსი ჩინებული სპეციალისტია და დარწმუნებული ვარ, კლუბს მხოლოდ წარმატებებს მოუტანს“ — მოკლედ განუცხადა აუგუსტო სესარ ლენდოირომ მედიას.

„დეპორტივომ“ უახლოეს მომავალში ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს. ამისთვის გულმოდგინედ ვშრომობთ და, მჯერა, შედეგიც არ დააყოვნებს“ — ეს თავად კაპაროსის სიტყვებია, რომელიც მან გაზეთ „მარკას“ უთხრა.

**ლადო ხომერიკი**

# რეალი კუიტს ჩაუსაფრდა



დირკ კუიტმა გრანდების ყურადღება მიიპყრო

**დირკ კუიტი**, როტერდამის „ფეიენოორდის“ 24 წლის თავდამსხმელი იანვარში შესაძლოა, მადრიდის „რეალში“ გადავიდეს. ესპანური გაზეთების, „მარკას“ და „ასის“ ცნობით, „სამეფო კლუბის“ სპორტული დირექტორი არიგო საკი უკვე რამდენჯერმე ყოფილა ჰოლანდიაში მოსალაპარაკებლად.

წინა კვირას, დირკ კუიტმა ჰოლანდიის ერედივიზიონის მორიგ ტურში კიდევ ორი გოლი შეაგდო და გარდა მადრიდული გრანდისა, ლონდონის „არსენალის“ ყურადღებაც მიიპყრო. „მეთოფეთა“ ფრანგ მწვრთნელ არსენ ვენგერს მისი შეძენის სურვილი ადრეც გამოუთქვამს, მაგრამ თავად კუიტს, როგორც ამბობენ, ესპანურ პრიმერაში თამაში ურჩევნია.

„თუ რაულის ტრავმა მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა, „რეალში“ სწორედ კუიტის მოყვანაზე ვიფიქრებთ“ — განუცხადა „მარკას“ არიგო საკიმ.

საკის ჰოლანდიაში თავისი ძველი მოწაფეებისთვის, მარკო ვან ბასტენისთვის და რუუდ გულიტისთვის უკითხავს, კარგი ფეხბურთელია თუ არაო, იმათაც ძალიან უქიათ და...

**ლადო ხომერიკი**

# გინდათ მარაკანა 36 დოლარად?



ლეგენდარული „მარაკანა“ ნაწილ-ნაწილ იყიდება

**მსოფლიოს** უდიდეს სტადიონ „მარაკანას“ მინდორი ნაწილ-ნაწილ იყიდება. ინტერნეტის საშუალებით დაახლოებით 16-18 სანტიმეტრის შეძენა მოედანზე, რომელზეც პელეს, გარინჩას, ზიკოს, რომარიოსა და სხვა ვარსკვლავებს უთამაშიათ, ნებისმიერი მსურველს შეუძლია — ფასი დაახლოებით 36 დოლარია. ეს ორიგინალური იდეა კომპანია „არტერიოს“ ეკუთვნის, რომელიც ამჟამად სტადიონის მფლობელია.

„ეს აზრი ტურისტებიდან წამოვიდა, რომელთაც „მარაკანადან“ სამახსოვროდ ბალახის ნაგლეჯები მიჰქონდათ“ — თქვა „არტერიოს“ მფლობელმა მარზალ მეირელესმა.

ამ კომპანიამ დაახლოებით 22 ათასი დოლარი დახარჯა 6 ათასი კვადრატული მეტრის შესაძენად, რომელზედაც „მარაკანაა“ განლაგებული. ახლა კი ფულის უკან ამოღებასა და მოგების ნახვას ლამობს.

შეგახსენებთ, რომ „მარაკანა“, რომელიც სპეციალურად 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშენდა, ამჟამად რეკონსტრუქციაშია. ეს პროცესი სავარაუდოდ, 2006 წლის დასაწყისში მორჩება.

რეკონსტრუქციის შემდეგ სათამაშო მინდორს ერთი მეტრით ქვემოთ დაწევენ, ხოლო დასაჯდომ ადგილებს გააუქმებენ და სკამებს დაამონტაჟებენ. შედეგად, ბრაზილიელი ქომაგები თავიანთ ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ სექტორს „ჟერალს“ დაკარგავენ, სადაც შეიძლებოდა ერთი რეალის საფასურად ფეხზე მდგარს გეყურებინა თამაშისთვის.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# კასილიასი ბერნაბეუზე დარჩა



იკერ კასილიასი „რეალის“ საკუთრება 2011 წლამდეა

**მადრიდის** „რეალის“ მეკარემ იკერ კასილიასმა „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი კიდევ ხუთი წლით გაახანგრძლივა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელშეკრულებით იგი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 2011 წლამდე დარჩება.

„ბედნიერი ვარ, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ. იმედი მაქვს, 2010-ში კონტრაქტს უკვე 2016 წლამდე გავახანგძლივებ“ — ღიმილით განუცხადა „გალაქტიკოსთა“ კარის მცველმა ესპანურ მედიას.

იკერ კასილიასი „რეალის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და „სამეფო გუნდის“ ძირითადში ექვსი წლის წინ გამოჩნდა. ახლა 24 წლისაა, თუმც უკვე საკმაოდ ტიტულიანია — მან ორჯერ ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონობა, ორი ესპანეთის სუპერთასი, ერთი ევროპის სუპერთასი და ერთიც საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. გარდა ამისა; მის მიღწევებში 1999 წლის 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩემპიონობა, 1997 წლის 17-წლამდელთა მუნდიალის ოქრო და 2000-ის „ტროფეო ბრავოც“ შედის.

**ლადო ხომერიკი**

# პოშტიგას რიგი და ბეტისი დაუდგა

**სევილიური** „ბეტისი“ „პორტუს“ თავდამსხმელ ელდერ პოშტიგას შეძენით დაინტერესდა. როგორც პორტუგალიური მედია გვამცნობს, „ბეტისის“ წარმომადგენლები ფეხბურთელს უკვე დაუკავშირდნენ. ელდერ პოშტიგა „პორტუს“ ჰოლანდიელ მწვრთნელ კო ადრიანსესთან კონფლიქტის გამო სათადარიგოთა სკამს დაუძმაკაცდა.



ელდერ პოშტიგას „პორტუს“ დატოვება სურს

მოგეხსენებათ, „ბეტისს“ წამყვანი ფორვარდები — რიკარდო ოლივეირა და დანი გარსია დაშავებული ჰყავს, ახალ თავდამსხმელსაც ამად საჭიროებს. თუ კლუბებს შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, პოშტიგა სევილიურ გუნდში სავარაუდოდ, იჯარის წესით გადავა. პორტუგალიელს გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ძირითადში მუდმივად თამაში სჭირდება, სხვანაირად ნაკრების მწვრთნელი, ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი მას ნაკრებში არ აიყვანს.

ელდერ პოშტიგას თავის დროზე ინგლისურ „ტოტენჰემშიც“ უბურთავია და თვლის, რომ ესპანურ პრიმერაშიც გაუმართლებს. მის გადაბირებას ფრანგული „მონაკო“ და „მარსელი“, ასევე ბელგიური „სტანდარდიც“ ცდილობენ.

**ლადო ხომერიკი**

# უეფას თასი 2005-2006 ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# იოან ანდონე: უიმე, რა დონეა?

### E ჯგუფი

„ცრვენა ზვეზდამ“ ორი მატჩი წააგო და ცხრილის ძირზეა, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს მერვედფინალში გასვლის შანსი. ბელგრადელებმა საამისოდ დღეს იტალიურ „რომას“ უნდა სძლიონ, ბოლო ტურში კი სტუმრად — ფრანგულ „სტრასბურს“, რომელმაც შემდეგ ეტაპზე ადგილი უკვე დაიბევა.

„ცრვენა ზვეზდა“ აქამდე შვიდჯერ შეხვედრა შინ იტალიურ კლუბებს და ერთიც ვერ მოუგია. ოთხჯერ დამარცხდა, სამჯერ კი ზავზე მოაწერა ხელი.

შინაურ ჩემპიონატში, გასულ შაბათს ბელგრადელებმა სტუმრად „ვოივოდინასთან“ 0:1 წააგეს, მაგრამ მწვრთნელმა ვალტერ ძენგამ განაცხადა: „საპანიკო არაფერია. ჩვენ უკეთ თამაში შეგვიძლია და ამას უახლოეს მატჩში, უეფას თასზე დავამტკიცებთ“.

რომაელებს „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში სიმინე პეროტა დააკლდათ, რომელიც დღეს გუნდს დაეხმარება. ამანტინო მანსინი და კრისტიან კივუ ტრავმირებულნი არიან და „ცრვენა ზვეზდასთან“ მათი თამაში საეჭვოა.

„ტრომსიოსთვის“ „ბაზელთან“ მატჩი ჯგუფში ბოლო იქნება. შვეიცარიელებს გასულ უქმეებზე დასვენება გამოუვიდათ, რადგან „ქსამაქსთან“ მათი შეხვედრა გადაიდო. დასვენებულნი არიან ნორვეგიელებიც, სადაც ჩემპიონატი უკვე დასრულებულა. წინა ტურში, „ცრვენა ზვეზდასთან“ გამარჯვებით გალაღებულმა „ტრომსიოს“ მწვრთნელმა სტეინარ ნილსენმა თქვა: „ბაზელში მოსაგებად მივდივართ, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც გვეყოს“.



AFP

რუსი არმიელები ებრაელთა დამარცხებას ეშურებიან

| E ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — რომა (იტალია) | | | | | | |
| ბაზელი (შვეიცარია) — ტრომსიო (ნორვეგია) | | | | | | |
| სტრასბური | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრომსიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| **F ჯგუფი** | | | | | | |
| ლევსკი (ბულგარეთი) — მარსელი (საფრანგეთი) | | | | | | |
| დინამო (რუმინეთი) — ცსკა (რუსეთი) | | | | | | |
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლევსკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| **G ჯგუფი** | | | | | | |
| რენი (საფრანგეთი) — შახტარი (უკრაინა) | | | | | | |
| რაპიდი (რუმინეთი) — პაოკ (საბერძნეთი) | | | | | | |
| რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პაოკ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| **H ჯგუფი** | | | | | | |
| 23:45 | 415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | ირლანდია. თასი | | | | | | |
| | | 4 დეკემბერი | | | | | | |
| 19:15 | 456 | კორკი-დროგედა | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 447 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| | | ინგლისი F A Cup | | | | | | |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 424 | პორტ ვეილი-როვერსი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 23:45 | 425 | მენსფილდი-გრეისი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 426 | ნუნეატონი-ჰისტონი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 427 | ბარტონი-ბერსქოუ | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:00 | 428 | შრიუსბერი-კოლჩესტერი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 19:00 | 430 | ბარნსლი-ბრედფორდი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 431 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 432 | რაშდენი-ლეიტონი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 433 | სტივენეიჯი-ნორთჰემპტონი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 19:00 | 434 | უოკინგი-ნორვიჩი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 435 | ჩესტერი-ნოტინგემი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 19:00 | 436 | ტორკი-ნოტსი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 437 | ჩელტენემი-ოქსფორდი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 19:00 | 438 | ალდერშოტი-სკანთორპი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 19:00 | 439 | ჰერეფორდი-სტოკპორტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 440 | უოლსოლი-იოვილი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 19:00 | 441 | ჰარტლპული-ტემუორთი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:00 | 442 | საუთენდი-დონსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 429 | ბოსტონი-დონკასტერი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 17:05 | 443 | უორკესტერი-ჰადერსფილდი | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 549 | ფრიოლუნდა-ლულეო | 1.45 | 4.50 | 4.20 | 1.09 | 1.07 | 2.17 |
| 22:00 | 550 | მორა-ჰვ 71 | 2.80 | 4.30 | 1.65 | 1.69 | 1.03 | 1.19 |
| 22:00 | 551 | მოდო-ლექსანდი | 1.45 | 4.50 | 4.20 | 1.09 | 1.07 | 2.17 |
| 22:00 | 552 | ტიმრე-ლინჩიოპინგი | 2.55 | 4.20 | 1.80 | 1.58 | 1.05 | 1.25 |
| 22:00 | 553 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 1.85 | 4.30 | 2.50 | 1.29 | 1.06 | 1.58 |
| 22:00 | 554 | ფერიესტადი-ბრიუნესი | 1.25 | 4.80 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.66 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 572 | ესეტი-იუვესკიულე | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 20:30 | 573 | ესპოო-ტურკუ | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 20:30 | 574 | კალპა-ილვესი | 2.55 | 4.10 | 1.90 | 1.57 | 1.08 | 1.29 |
| 20:30 | 575 | ტაპარა-ჰელსინკი | 1.85 | 4.30 | 2.50 | 1.29 | 1.06 | 1.58 |
| 20:30 | 576 | სეიპა-ლუკო | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 20:30 | 577 | ჰაამეენლინა-პელიკანსი | 1.25 | 4.80 | 5.70 | 1.00 | 1.02 | 2.60 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 591 | ზლინი-ვიტკოვიცე | 1.80 | 4.10 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.59 |
| 20:00 | 592 | ტრჟინეცი-ვსეტინი | 1.55 | 4.30 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.92 |
| 20:30 | 593 | ზნოიმო-სლავია | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 20:30 | 594 | კლადნო-ლიბერეცი | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 595 | პლზენი-ბუდეიოვიცე | 1.90 | 4.10 | 2.50 | 1.29 | 1.07 | 1.55 |
| 21:00 | 596 | პარდუბიცე-ლიტვინოვი | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| 21:30 | 597 | სპარტა-კარლოვი ვარი | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 610 | ტრენჩინი-ზვოლენი | 1.80 | 4.00 | 2.65 | 1.24 | 1.07 | 1.59 |
| 20:00 | 611 | კოშიცე-სლოვანი | 1.90 | 4.00 | 2.65 | 1.28 | 1.10 | 1.59 |
| 20:00 | 612 | პოპრადი-მარტინი | 1.35 | 4.70 | 5.00 | 1.04 | 1.06 | 2.42 |
| 20:00 | 613 | ჟილინა-მიკულაში | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| 20:00 | 614 | ნიტრა-სკალიცა | 1.50 | 4.20 | 3.80 | 1.10 | 1.07 | 1.99 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 623 | კიოლნი-ჰამბურგი | 1.60 | 4.20 | 3.40 | 1.15 | 1.08 | 1.87 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 624 | დუისბურგი-ინგოლშტადი | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| 22:30 | 625 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |
| 22:30 | 626 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:30 | 627 | იზერლონი-კასელი | 1.80 | 4.20 | 2.70 | 1.25 | 1.08 | 1.64 |
| 22:30 | 628 | აისბარენი-ფრანკფურტი | 1.85 | 4.30 | 2.60 | 1.29 | 1.08 | 1.62 |
| 22:30 | 629 | აუგსბურგი-მანჰაიმი | 2.35 | 4.20 | 2.00 | 1.50 | 1.08 | 1.35 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 660 | ავანგარდი-მედ | 1.20 | 4.60 | 6.50 | 1.00 | 1.01 | 2.69 |
| 13:00 | 661 | ასკ-მაგნიტოგორსკი | 3.20 | 4.30 | 1.60 | 1.83 | 1.06 | 1.16 |
| 13:00 | 662 | ხიმიკი-ვიტიაზი | 1.45 | 4.40 | 4.00 | 1.09 | 1.06 | 2.09 |
| 13:00 | 663 | სევერსტალი-დინამო | 2.30 | 4.00 | 2.05 | 1.46 | 1.08 | 1.35 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 664 | ნეფტეხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.50 | 4.50 | 3.55 | 1.12 | 1.05 | 1.98 |
| 13:00 | 665 | ლოკომოტივი-ლადა | 1.45 | 4.60 | 4.00 | 1.10 | 1.06 | 2.13 |
| 13:00 | 667 | აკ ბარსი-სიბირი | 1.25 | 4.80 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.66 |
| 13:00 | 668 | სპარტაკი-ს.იულაევი | 2.00 | 4.00 | 2.35 | 1.33 | 1.08 | 1.48 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 671 | მოლოტი-ცსკა | 3.80 | 4.40 | 1.45 | 2.03 | 1.04 | 1.09 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 783 | მაკაბი-მილანი | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 23:45 | 784 | სიენა-პაუ | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 23:45 | 785 | ბამბერგი- ჟალგირისი | 2.15 | 12.00 | 1.60 | 1.82 | 1.00 | 1.41 |
| 23:45 | 786 | უნიკახა-პანათინაიკოსი | 2.00 | 12.00 | 1.65 | 1.71 | 1.00 | 1.45 |
| 23:45 | 787 | პარტიზანი-ულქერი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 23:45 | 788 | ოლიმპია-აეკ | 1.70 | 12.00 | 2.00 | 1.48 | 1.00 | 1.71 |
| 23:45 | 789 | ბარსელონა-ციბონა | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10409 | ბაზელი-ტრომსიო | 1.85 | 2.30 | 5.30 | 1.02 | 1.37 | 1.60 |
| 10410 | ლევსკი-მარსელი | 2.60 | 2.00 | 3.45 | 1.13 | 1.48 | 1.26 |
| 10411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 3.55 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.46 | 1.11 |
| 10412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 1.95 | 2.20 | 5.30 | 1.03 | 1.42 | 1.55 |
| 10413 | რენი-შახტარი | 2.60 | 2.00 | 3.35 | 1.13 | 1.46 | 1.25 |
| 10414 | სევილია-გიმარაეში | 1.75 | 2.40 | 6.00 | 1.01 | 1.35 | 1.71 |
| 10415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 2.45 | 2.00 | 3.90 | 1.10 | 1.50 | 1.32 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11409 | ბაზელი-ტრომსიო | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11410 | ლევსკი-მარსელი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11413 | რენი-შახტარი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11414 | სევილია-გიმარაეში | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12409 | ბაზელი-ტრომსიო | 2.00 | 1.60 |
| 12410 | ლევსკი-მარსელი | 1.60 | 2.00 |
| 12411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 1.70 | 1.90 |
| 12412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 1.70 | 1.90 |
| 12413 | რენი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 12414 | სევილია-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 12415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13409 | ბაზელი-ტრომსიო | 1.70 | 1.90 |
| 13410 | ლევსკი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 1.70 | 1.90 |
| 13412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 1.90 | 1.70 |
| 13413 | რენი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13414 | სევილია-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 13415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 2.10 | 1.70 |
| 14409 | ბაზელი-ტრომსიო | 1.20 | 2.50 |
| 14410 | ლევსკი-მარსელი | 1.80 | 2.00 |
| 14411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 2.20 | 1.70 |
| 14412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 1.30 | 2.50 |
| 14413 | რენი-შახტარი | 1.80 | 2.00 |
| 14414 | სევილია-გიმარაეში | 1.20 | 2.60 |
| 14415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 1.65 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15409 | ბაზელი-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | ლევსკი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15413 | რენი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15414 | სევილია-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს ბარეში (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 2.30 | 1.45 |
| 16409 | ბაზელი-ტრომსიო | 1.09 | 4.00 |
| 16410 | ლევსკი-მარსელი | 1.50 | 2.10 |
| 16411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 2.10 | 1.45 |
| 16412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 1.15 | 3.80 |
| 16413 | რენი-შახტარი | 1.50 | 2.10 |
| 16414 | სევილია-გიმარაეში | 1.06 | 5.75 |
| 16415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 1.40 | 2.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17408 | ცრვენა ზვეზდა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17409 | ბაზელი-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17410 | ლევსკი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17411 | დინამო(ბქ)-ცსკა(მ) | 1.85 | 1.95 |
| 17412 | რაპიდი(ბ)-პაოკ | 1.85 | 1.95 |
| 17413 | რენი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17414 | სევილია-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17415 | ბეშიქთაში-ზენიტი | 1.85 | 1.95 |

# ბოისას სკამი დაებედა

## ფაჩულიას აგ-კარგი კვირა

**მიუჩვეველს** ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო — ასეა ახლა ვლადიმერ ბოისასა და ქართველი გულშემატკივრის საქმე. ბოისას კარგ გარჯას ნაჩვევი გულშემატკივარი ახლა ნირწამხდარია, საქართველოს ნაკრების „სიენაში" მოთამაშე ფორვარდს გვალვიანი პერიოდი უდგას და მისთვის არათუ კარგი სტატისტიკა, მოედანზე გასვლაც კი სანატრელია.

„ოლიმპიადან" გაცილებით მძლავრ „სიენაში" გადასვლა იქნებ კარგიც იყო ბოისას პროფესიული განვითარებისთვის, მაგრამ ამ ტრანსფერიდან ქართველი ქომაგს ჯერ დივიდენდები არ მიუღია. ვოვას უკვე ჩვეულებად ექცა სერია A-ს მატჩების გამოტოვება, ხოლო ევროლიგაში ცოტას თამაშობს და ისიც უბარაქოდ.

თუ იტალიის ჩემპიონატში ბოისას ლეგიონერთა ლიმიტის გამო არ ათამაშებენ (ამერიკელთა კონკურენციას ვერ ძლევს), ევროლიგაში უცხოელებზე შეზღუდვა არ ვრცელდება, თუმც ბოისას ძირითადად მაინც თადარიგში უწევს ყოფნა. აი, ბოლო ტურშიც ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი, 14 წუთში თითო ჯარიმა და ორქულიანი ჩააგდო, მისი გუნდი კი სულაც განადგურდა — „უნიკახამ" ესპანეთიდან 22-ქულიანი მარცხით გამოაბუნძულა.

ჩვენი ნაკრების გამთამაშებელი შემონდ უილიამსი კი გონზე მოვიდა და 10 დღის წინ „ბარსელონას" მწვრთნელისგან გათათხული ისე ათამაშდა, ლამის მარტო ამარჯვებინებს ვარსკვლავებით გადაჭედილ კატალონიურ გრანდს.

ბარსელონელებმა გასულ კვირაში ორი პრინციპული გამარჯვება იზეიმეს — ევროლიგაში სტუმრად „პროკომი" დაჯაბნეს, პრიმერადივიზიონში კი „კახა სან ფერნანდო" გათელეს. შემონდ უილიამსი ორივეგან მთავარ როლს ასრულებდა, პოლონეთში მასპინძლები 24 ქულით დაზურგა, ხოლო სანფერნანდოელებს 15-ქულიანი ალიყური გააწნა.

გაიმარჯვა დავით იმნაძის „პრეძევმაც", რასაც ამ კლუბის უფროსობა მთელი სეზონია, ელოდება. პრეძეველებმა სლოვაკეთის ჩემპიონატის საწყისი 10 შეხვედრა დათმეს და „რიეკეს" ძლევა ალბათ ათმაგად გაუხარდებოდათ. სამწუხარო ისაა, რომ პრეძეველთა სანატრელ გამარჯვებაში ქართველმა ცენტრმა მოკრძალებული წილი დაიდო. მხოლოდ ოდენ 6 წუთი მიეცა და მანაც ამ მოკლე ხანში თითო მოხსნა-პასი-ქულა მიითვალა.

წინა მიმოხილვისას გამცნეთ, რომ ბაქოს „გალამ" უკრაინული „ხიმიკის" ძლევით საჩენჯქაპეო ჯგუფიდან გასვლის შანსი გაიცოცხლაო, თუმც იმედის ნაპერწკალი მომდევნო მატჩშივე ჩაუქრა.

„გალა" პერმში „ურალ გრეიტს" შეერკინა და გვარიანადაც შერცხვა. რუსულმა კლუბმა აზერბაიჯანული 39 ქულით გაანადგურა და ბაქოელებმა კვლავ ვერ გადალახეს ევროტურნირის თუნდაც ერთი ბარიერი. წაგებულ „გალაში" კიდევ უფრო წაგებული სტატისტიკა ჰქონდათ ქართველებს. ზვიად ბაბიაშვილმა 12 წუთი იბურთავა და მოედანი 2 ქულით დატოვა, ხოლო დავით ბარბაქაძის მოედანზე ორწუთიანი გაელვება ანგარიშში ჩასათვლელიც არ არის.

თუკი გასულ კვირაში ვინმემ გაგვიხარა გული, პირველ რიგში ზაზა ფაჩულიამ. რეგულარული ჩემპიონატის 9 წაგებით დამწყებმა „ატლანტა ჰოქსმა" რომ უიღბლობის ნავსი გატეხა, ერთი-ორ „ქორთან" ერთად ქართველ ცენტრსაც უნდა უმადლოდეს. ფაჩულიამ „ბოსტონ სელტიკსს" 19 ქულა ჩაუგდო და 13 ბურთი მოუხსნა, მოედანზე ბოლო წამამდე იყო და ატლანტელთა პირველი გამარჯვების მოპოვებას ლამის კბილებითაც ცდილობდა.

აი, გასული კვირის მომდევნო ორი მატჩი კი ზაზას ტკბილი მოგონებების ნუსხაში ალბათ ვერ ჩაწერება. მან „ინდიანასთან" მოგებულ მატჩში ატლანტელებს მხოლოდ მოხსნებში შეაშველა ხელი, თორემ მისი 4 ქულა ამ სეზონში უარესი შედეგი გახლდათ.

და „პორტლენდთან" ჯახიც გავიხსენოთ, რომელშიც ფაჩულიამ კარგი შედეგიანობა კი გამოიჩინა (15 ქულა, 10 მოხსნა), მაგრამ მეტოქემ სწორედ მისი ხელიდან ჩააგდო გამარჯვების ბურთი და ქართველ გოლიათს ხასიათი გაუფუჭა.

**ირაკლი პერტაია**



ვლადიმერ ბოისა „სიენაში" სკამზე ჯდომას დაეჩვია

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A<br>ევროლიგა | ნაპოლი<br>უნიკახა | შ<br>ს | 88:93<br>60:82 | არ უთამაშია<br>14 | <br>3 | <br>1 | <br>0 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა<br>ესპანეთის ჩემპიონატი | პროკომი<br>სან ფერნანდო | ს<br>შ | 65:60<br>83:62 | 36<br>28 | 24<br>15 | 5<br>3 | 2<br>3 |
| დავით იმნაძე | პრეძევი | სლოვაკეთის ჩემპიონატი | რიეკე | შ | 80:70 | 6 | 1 | 1 | 1 |
| ზვიად ბაბიაშვილი | გალა | ფიბას თასი | ურალ გრეიტი | ს | 73:112 | 13 | 2 | 0 | 0 |
| დავით ბარბაქაძე | გალა | ფიბას თასი | ურალ გრეიტი | ს | 73:112 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ბოსტონი<br>ინდიანა<br>პორტლენდი | შ<br>ს<br>შ | 120:117<br>87:85<br>75:77 | 41<br>22<br>36 | 19<br>4<br>15 | 13<br>7<br>10 | 4<br>0<br>1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ნიუ ორლეანი<br>მილუოკი<br>კლივლენდი | ს<br>შ<br>ს | 80:84<br>99:91<br>89:85 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



# ბუნდესგამყრელიძე

## ლაშა პირველი ავსტრიელია

**ათიოდე** დღის წინ „დინამოს" 19 წლის გამთამაშებელი გიორგი გამყრელიძე ბედის საძიებლად ავსტრიაში წავიდა. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მან კონტრაქტი დაიმსახურა ბუნდესლიგის საშუალო გუნდ „ფურსტენფილდში". ხელშეკრულების დეტალებს არ ახმაურებენ, თუმც „პანტერებმა" (კლუბის მეტსახელია) ქართველი გამთამაშებელი უკვე შეიყვანეს განაცხადში.

გამყრელიძე საქართველოს ნაკრების წევრია, მას ჯერ დრაჟენ ბრაიკოვიჩმა გამოუცხადა ნდობა და მერე არც მისმა შემცვლელმა გორდონ ჰერბერტმა დაიწუნა. სწორედ ჰერბერტის დამსახურებად მიიჩნევს ავსტრიელი ჟურნალისტი სტეფან ჰაინრიხი იმას, რომ გამყრელიძე უცხოურ კლუბში მოეწყო.

„გამყრელიძე საქართველოს ნაკრებში გორდონ ჰერბერტმა მიიწვია და ეს ახალგაზრდა მოთამაშე საკვალიფიკაციო ტურნირის ყველა მატჩში მონაწილეობდა. ჰერბერტი მას დაეხმარა იმაში, რომ პირველ უცხოურ კლუბში მოწყობილიყო", — ასკვნის ჰაინრიხი.

გამყრელიძე საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე ცდილობდა, ამერიკაში, ჰაი სქულის გუნდში გადასულიყო და თან ესწავლა კიდეც, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და დროებით „დინამოს" შეეკედლა, ახლა კი ის პირველი ქართველია, ვინც ავსტრიაში მოეწყო.

**ირაკლი პერტაია**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ზაზა შეცდომებს ასწორებს, გუნდი კი კვლავ აგებს



AFP სან ანტონიოდან

მანუ ჯინობილის მორიგი ჩატენვა

29 ნოემბერი

**ფილადელფია 107:83 პორტლენდი**

ფილადელფია: აივერსონი (38 ქულა, 8 მოხსნა), ვებერი (16 ქულა, 15 მოხსნა), კორვერი (16 ქულა, 8 მოხსნა)

პორტლენდი: რენდოლფი (24 ქულა, 9 მოხსნა), მაილსი (13 ქულა)

**მილუოკი 113:111 დალასი**

*ძირითადი დრო 100:100*

მილუოკი: სიმონსი (26 ქულა, 7 მოხსნა), ფორდი (24 ქულა, 7 პასი), ბოგუტი (19 ქულა, 14 მოხსნა)

დალასი: ტერი (37 ქულა), დენიელსი (21 ქულა), ნოვიცკი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**მინესოტა 84:93 კლიპერსი**

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 13 მოხსნა), იარიჩი (17 ქულა, 6 პასი), შერბიაკი (10 ქულა)

კლიპერსი: მაგეტი (30 ქულა, 10 მოხსნა), ბრენდი (19 ქულა, 13 მოხსნა), მობლი (13 ქულა)

*ციციშვილი განაცხადში არ იყო*

**ჩიკაგო 85:76 ორლანდო**

ჩიკაგო: დენგი (21 ქულა, 5 მოხსნა), ჰინრიხი (20 ქულა, 14 პასი), სვიტნი (12 ქულა)

ორლანდო: თურქოღლუ (20 ქულა), დ. ჰოვარდი (17 ქულა, 19 მოხსნა), ნელსონი (13 ქულა)

**ჰიუსტონი 100:85 ატლანტა**

ჰიუსტონი: მაქგრეიდი (25 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი), მინგი (25 ქულა, 12 მოხსნა), ჯუვან ჰოვარდი (12 ქულა, 7 მოხსნა), ჰედი (12 ქულა, 6 მოხსნა), ვესლი (10 ქულა), ანდერსონი (10 ქულა), სვიფტი (5 ქულა), რ. ბოუენი (1 ქულა), მუტუმბო (0 ქულა, 6 მოხსნა)

ატლანტა: ფაჩულია (13 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება), ჯ. ჯონსონი (1, ქულა, 7 პასი), ს. სტუდემაიერი (14 ქულა, 5 მოხსნა). ე. ჰარინგტონი (14 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი), ჯოშ სმიტი (6 ქულა), მ. უილიამსი (11 ქულა, 5 მოხსნა), ჩილდრესი (2 ქულა, 4 მოხსნა), ედვარდსი (4 ქულა), აივი (4 ქულა), დ. სმიტი

**სან ანტონიო 90:84 ლეიკერსი**

სან ანტონიო: ჯინობილი (22 ქულა, 8 მოხსნა), დანკანი (16 ქულა, 9 მოხსნა), ფინლი (12 ქულა)

ლეიკერსი: ოდომი (27 ქულა, 16 მოხსნა), ბრაიანტი (25 ქულა), ვუიაჩიჩი (10 ქულა)

**იუტა 60:84 ინდიანა**

იუტა: დ. უილიამსი (14 ქულა), ოქური (8 ქულა, 9 მოხსნა)

ინდიანა: ჯ. ონილი (21 ქულა, 15 მოხსნა), ტინსლი (14 ქულა), ს. ჯექსონი (9 ქულა)

**საკრამენტო 110:92 შარლოტი**

საკრამენტო: ბიბი (25 ქულა), ბ. მილერი (20 ქულა, 9 პასი), უელსი (12 ქულა, 8 მოხსნა)

შარლოტი: რაში (15 ქულა), ბრეზეცი (13 ქულა, 12 მოხსნა), გ. უოლესი (10 ქულა)

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოუქსმა" მორიგი შეხვედრა ჩაატარა და, სამწუხაროდ, ასევე მორიგი, სეზონში უკვე მე-11 მარცხი განიცადა. ამჯერად ჯორჯიელებმა ტეხასურ „ჰიუსტონ როკეტსთან" წააგეს.

ისე, წლეულს „ატლანტამ" ყველა შეხვედრა დასავლეთ კონფერენციის გუნდებთან წააგო და მხოლოდ აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდებთან მოიპოვა ორიოდე გამარჯვება. ძნელი სათქმელია, „ატლანტას" დასავლელთა კომპლექსი აქვს, თუ სხვა რაიმე მიზეზია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ზაზა ფაჩულია და მისი თანაგუნდელები ჯერჯერობით მხოლოდ თანაკონფერენციელებს უგებენ.

„ატლანტას" ამ შეხვედრაში იმითაც არ გაუმართლა, რომ ტეხასურ გუნდს მისი მთავარი დამრტყმელი ძალა — ტრეისი მაქგრეიდი — სწორედ ამ მატჩის წინ დაუბრუნდა. არადა „ჰიუსტონმა" წლეულს მაქგრეიდის გარეშე ვერც ერთი შეხვედრაც კი ვერ მოიგო, ხოლო ამ თამაშამდე შვიდმატჩიანი წაგებათა სერია ჰქონდა და საშუალოდ 83 ქულას აგროვებდა.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „ჰიუსტონის" მთავარი ვარსკვლავი სწორედ მაქგრეიდია და არა ჩინელი იაო მინგი.

რაც შეეხება ჩვენებურს, მისი მონაგარი ამ შეხვედრაში 13 ქულა და 9 მოხსნა იყო, რასაც თითო პასი და დაფარებაც დაამატა. გარდა ამისა, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ზაზას თამაშში შეცდომებმა თანდათან იკლო.

შეხვედრა კი მთლიანად „ჰიუსტონის" უპირატესობით წარიმართა და ტეხასელებმაც 15-ქულიანი სხვაობით — 100:85 იმარჯვეს. „ატლანტამ" მატჩის პირველი ნახევარში მოახერხა და მეტოქეს დიდი სხვაობით წინ გაჭრის საშუალება არ მისცა — დიდ შესვენებაზე ჯორჯიელები მხოლოდ ერთქულიანი დეფიციტით გავიდნენ.

მესამე პერიოდის შუაწელზე „ატლანტამ" ახალბედა მარვინ უილიამსის ორქულიანის შემდეგ გაათანაბრა კიდეც ანგარიში, თუმც შემდეგ ტეხასელებმა აიწყვიტეს და მოწინააღმდეგეს თამაშის გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს. მაქგრეიდის კარგად მიეხმარნენ გამოცდილი ჯუვან ჰოვარდი და ახალგაზრდა ლუთერ ჰედი, რომელთა მეცადინეობითაც „ჰიუსტონმა" შეწყვიტა თავისი წაგებების სერია.

სხვა მატჩებიდან გამოსაყოფია ჩემპიონატის ფავორიტ „სან ანტონიოს" შეხვედრა ლეიკერსთან. ორი-სამი წლის წინ ამ გუნდების თამაში უდიდეს ვნებათაღელვას იწვევდა და პლეი ოფშიც ხშირად გადამწყვეტ ეტაპებზე ეჯახებოდნენ ერთმანეთს. თუმც „ლეიკერსმა" შაკილ ონილის გაშვებით ბევრი დაკარგა, შარშან პლეი ოფშიც ვერ გავიდა და არც წლეულს წყვეტს ციდან ვარსკლავებს, „სან ანტონიო" კი პირიქით, ახლა გაცილებით სოლიდურად გამოიყურება. ამჯერადაც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 6 ქულით — 90:84 — იმარჯვა, ტეხასური გუნდი თითქოს მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა. „ლეიკერსი" ამ მატჩში მხოლოდ ერთხელ დაწინაურდა. ეს იყო შეხვედრის საწყის წამებზე, როცა კრის მიმმა გახსნა ანგარიში და ლეიკერსი წინ გაიყვანა.

„სან ანტონიოს" რიგებში კი სუპერარგენტინელმა მანუ ჯინობილმა იყოჩაღა.; მან 22 ქულა ჩაუგდო მოწინააღმდეგეს და დაცვაშიც მშვენიერად იასპარეზა. ტიმ დანკანს ამჯერად ორმაგი დუბლი არ შეუსრულებია, მაგრამ სამაგიეროდ მატჩის მიწურულს, როცა „ლეიკერსი" მასზე სპეციალურად ჯარიმდებოდა, ტიმმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ჯარიმა ჩააგდო და კალიფორნიელებს მატჩის გადარჩენის ყოველგვარი იმედი მოუსპო.

კარგად გაისარჯა ბრიუს ბოუენიც. მან უბრალოდ გააწამა „ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტი. მართალია, კობიმ 25 ქულა ჩააგდო, მაგრამ ბოუენის გადამკიდეს ბურთის ტყორცნის პროცენტული მაჩვენებელი ძალიან ცუდი ჰქონდა — 33 ნატყორცნი ბურთიდან კალათში მხოლოდ 9 მოათავსა.

ლეიკერსელთა შორის ბრწყინავდა ლამარ ოდომი, რომელმაც სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და 27 ქულა ჩააგდო, რასაც 16 მოხსნაც დაამატა. თუმცა ოდომის ამ თავგამოდებამ „ლეიკერსს" ვერაფერში უშველა და ლოსანჯელესელებმაც სტუმრად ზედიზედ მეოთხედ წააგეს.

**ბაჩა ლომჯარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ოტავადან

მარტინ ჰავლატის (№9) „ოტავამ" საკუ კოივუს „მონრეალს" იოლად გადაურბინა

# უსაქმური მეკარის რეკორდი

29 ნოემბერი

**აილენდერსი 3:4 ფილადელფია**

*2:0 1:3 0:1*

1:0 შატანი (12), 2:0 ბლეიკი (18), 2:1 შარპი (30), 3:1 პერიში (32), 3:2 პიტკანენი (35), 3:3 განიე (39), 3:4 განიე (53)

**ამჯერად** სიმონ განიემ შეძლო იმის დამტკიცება, რომ პეტერ ფორსბერგის გარეშეც სერიოზულ ძალას წარმოადგენს. „ფილადელფიას" შვედმა ლიდერმა ზედიზედ მეორე მატჩი გამოტოვა საზარდულის ტრავმის გამო და წინა თამაშში განიე პრაქტიკულად არ ჩანდა, თავისი 21 შაიბიდან 18 ხომ პეტერის პასების შემდეგ ჰქონდა მითვლილი. თუმც „აილენდერსთან" შეხვედრაში ფორვარდმა შესაშური საგოლე წყურვილი გამოიჩინა და სწორედ მისმა ორმა შაიბამ გადაწყვიტა თამაშის ბედი. დუბლის ხარჯზე განიემ თავისი საგოლე მარაგი 23-მდე გაზარდა და სპეციალისტები ისეთ რაღაცაზე აალაპარაკა, რომ ბოლო წლებში სიზმრადაც ვერ ნახავდა ადამიანი — ეგებ სიმონმა შეძლოს გროსმაისტერული შედეგის — 50 შაიბა 50 თამაშში — ჩვენებაო.

**ატლანტა 3:4 კაროლინა**

*2:1 1:2 0:0 0:1*

1:0 დევრიზი (2), 2:0 სავარი (4), 2:1 უილიამსი (15), 2:2 სტაალი (23), 2:3 სტაალი (28), 3:3 ჰოლიკი (40), 3:4 კაბერლე (61)

**ჯერ** კიდევ ორი დღის წინ „კაროლინას" ახალგაზრდა ლიდერ ერიკ სტაალს ილია კოვალჩუკმა აართვა შაიბა და გოლი გაიტანა, რაც გუნდს წაგების ფასად დაუჯდა. ამ გუნდების მომდევნო მატჩში სტაალმა „ვალი დაუბრუნა" კოვალჩუკს — უმცირესობაში ყოფნისას გამოსტაცა მას შაიბა და მიუხედავად ატლანტელის წინააღმდეგობისა, მაინც გაიტანა.

**ოტავა 4:0 მონრეალი**

*1:0 2:0 1:0*

1:0 სპეცა (9), 2:0 ალფრედსონი (26), 3:0 ჰავლატი (29), 4:0 ფიშერი (59)

**„ოტავას"** დარ გუნდებში ახალბედა მეკარეებიც შედიან ისტორიაში. მეკარე რეი ემერიმ არც კი იცოდა, რომ ამ თამაშში მოგების შემთხვევაში ის ლიგის ახალ რეკორდს დაამყარებდა — აქამდე ხომ არც ერთ ახალბედა მეკარეს არ მოეგო პირველი ცხრა მატჩი ნჰლ-ში. ამ მიღწევაში ემერის ძალიან დაეხმარნენ პარტნიორები, ჩინებულად ითამაშეს დაცვაში და საკუთარი მეკარე პრაქტიკულად უსაქმოდ დატოვეს.

სხვათა შორის, მომდევნო თამაშში კიდევ ერთი რეკორდის გამეორებაა მოსალოდნელი. რაც დანი ჰიტლი (1 პასი) წლეულს „ოტავაში" გადავიდა, უკვე 22 თამაშია, ქულებს აგროვებს და საცაა, დაეწვა თვით უეინ გრეცკის, რომელიც 1988 წელს „ლოს ანჯელესში" რომ გადავიდა, ზედიზედ 23 თამაშში მიითვალა ქულები.

**ნიუ ჯერსი 3:2 ბოსტონი**

*0:1 1:1 2:0*

0:1 ბერძერონი (9), 0:2 სამსონოვი (21), 1:2 ჯიონტა (34), 2:2 პანდოლფო (46), 3:2 მოგილნი (60)

**ედმონტონი 2:3 კოლორადო**

*0:2 2:0 0:1*

0:1 ლაპერიე (8), 0:2 ლაპერიე (20), 1:2 ბერჟერონი (26), 2:2 პეკა (30), 2:3 საკიკი (52)

**პიტსბურგი 2:3 ნეშვილი**

*1:1 0:1 1:1 1:0*

1:0 მერლი (5), 1:1 აფინოგენოვი (12), 1:2 გოსტადი (32), 2:2 ლეკლერი (42), 2:3 კოტალიკი (46)

**ნეშვილი 2:0 კალგარი**

*1:0 0:0 1:0*

1:0 ფილ-ლერი (19), 2:0 ჰარტნელი (60)

**სამველ ღარიბიანი**



გარი ლეინი და ბაადურ ჯობავა

# ჯობავამ გარი დაჯაბნა

## მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

**მეორე ეტაპი. პირველი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 1:0 | გარი ლეინი (ავსტრია) |
| შეკარ სურია განგული (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |

**ტოტალიზატორთა** აზრით, მსოფლიოს თასის ფავორიტი 2004 წლის ევროპის ჩემპიონი უკრაინელი ვასილ ივანჩუკია 5 კუშით, თუმც...

ჯერჯერობით სლავი დიდოსტატი სპეციალისტთა იმედებს ვერ ამართლებს. მეორე ტურის პირველ მატჩში იგი სამარცხვინოდ დამარცხდა, რეიტინგით 64-ე ნომერ ბულგარელ ივან ჩეპარინოვთან და დღეს თუ არ ივაჟკაცა, თასსაც ნაადრევად გამოემშვიდობება. გარდა ამ მატჩისა, გათამაშებაში სხვა მოულოდნელობა აღარ დაფიქსირებულა და თითქმის ყველა პარტია ლოგიკური შედეგით დასრულდა.

წარმატებული დღე ჰქონდათ ქართველებს. ბაადურ ჯობავამ ავსტრიელ გარი ლეინს მოუგო. ჩვენებური თეთრი ფიგურებით თამაშობდა და თავიდანვე ყოჩაღად შეუტია მეტოქეს. პარტია ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, თუმც ჯობავამ სტრატეგიულად უკეთ ითამაშა და 43-ე სვლაზე გამარჯვებაც მოიპოვა.

ყაიმით დასრულდა შეხვედრა ლევან ფანცულაიამ. იგი ინდოელ შეკარ სურია განგულს შავი ფიგურებით დაუპირისპირდა და ტოლი არაფერში დაუდო.

დღეს ფანცულაია თეთრი ფიგურებით გამოვა და, შესაბამისად, უპირატესობა ექნება.

**ლაშა გეგეჭკორი**



# თვითმკვლელობა

**ინგლისის** სინქრონულ მოცურავეთა ნაკრების წევრმა ნიკი დანბარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მას მერე, რაც ნამუსი ახადეს.

17 წლის ნიკის დედა, რომელმაც თავისი შვილი შინ, კიბეების თავზე ტელეფონის სადენებზე ჩამომხრჩვალი აღმოაჩინა, ამაოდ ცდილობდა შვილის გადარჩენას.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა გადაწყვიტეს განყოფილებაში წაეყვანათ მწუხარებისგან შეშლილი მშობლები, რათა მათ თავისთვის რამე არ ევნოთ. საპოლიციო განყოფილებაში მშობლებს ყოველმხრივ დახმარება აღმოუჩინეს.

ნიკი დანბარის მწვრთნელმა ჟან პიტფილდმა თქვა, რომ ამ გოგოსგან, რომელიც ნიჭიერი მოცურავე იყო, უდავოდ დიდი სპორტსმენი დადგებოდაო.



დანბარი შაბათს ძაღლთან ერთად ქუჩაში რომ სეირნობდა, სწორედ მაშინ თავს დაესხნენ და გააუპატიურეს. იგი ამ დროს ისე იყო შეშინებული, რომ პოლიციაშიც კი ვერ განაცხადა მომხდარის თაობაზე, შინ დაბრუნებულმა კი თავი ჩამოიხრჩო.



# უნგრელთა ოცნება

**უნგრეთის** მეწარმეებმა, ბიზნესმენებმა და სპორტსმენებმა განაცხადეს, რომ ვეცდებით, ბუდაპეშტი 2016 ან 2020 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კანდიდატად წამოვაყენოთო.

აქტივისტები იმედოვნებენ, რომ ამ საკითხში მათ მხარს დაუჭერს მთავრობა, რომელმაც ორი წლის წინათ უარი თქვა უნგრეთის დედაქალაქის ამგვარ კანდიდატურაზე, რაც გაუმართლებელი ფინანსური ხარჯებით ახსნა.



# სიგიჟე კაცს ეხმარება



*ინდოელმა ბიზნესმენმა ვიჯაიპატ სინგჰანიამ საჰაერო ბურთით სიმაღლეში აფრენის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.*
*ეს 67 წლის ენთუზიასტი აერონავსანი ბომბეიში აფრინდა და ორი საათის შემდეგ 21 ათასი მეტრის სიმაღლიდან გადმოხედა დედამიწას, მერე კი მშვიდობით დაეშვა*



**ამ** შედეგმა სერთიფიკაცია უნდა გაიროს და მხოლოდ ამის შემდეგ მოიხსენიებენ სინგჰანიას მიღწევას ოფიციალურ მსოფლიოს რეკორდად.

მანამდე კი მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნის ასევე ბიზნესმენს შვედ პიერ ლინდსტრანდს, რომელიც 1998 წელს ტეხასის ქალაქ პლანოში 19 811 მეტრზე აფრინდა, ვიჯაიპატ სინგჰანი კი ამბობს, რომ მისი აფრენა 21 290 მეტრზე შეწყდა.

ინდოელმა ბიზნესმენმა საგანგებოდ დამზადებული 48 მეტრის სიმაღლის ჭრელა-ჭრულა საჰაერო ბურთი გამოიყენა, რომელიც 18 საცეცხლურიდან ცხელი ჰაერით შეავსეს.

ფრენისას ვიჯაიპატ სინგჰანია ალუმინისგან დამზადებულ კაფსულში იჯდა, რომელშიც ხელოვნურად ინარჩუნებდა ჰაერის წნევას. ბორტს მიღმა ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით 93 გრადუსს ყინვას აჩვენებდა.

საჰაერო ბურთი აღჭურვილი იყო პარაშუტით, რისი საშუალებითაც რაიმე უწესივრობის შემთხვევაში კაფსულის დაშვება იყო შესაძლებელი.

ვიჯაიპატ სინგჰანიას ფრენა ინდოეთში საერთო ეროვნულ ზეიმად გადაიქცა. იგი ეროვნული ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

„როცა გავიგე, რომ ჩემმა ქმარმა რეკორდი დაამყარა, გული, უბრალოდ, გამიჩერდა“, — თქვა ბიზნესმენის ცოლმა აშამ.

აფრენის წინ ვიჯაიპატ სინგჰანიამ, რომელიც ინდოეთის უდიდესი საფეიქრო საწარმოს მეთაურია, ბი-ბი-სის კორესპონდენტს უთხრა, მოწოდებით მფრინავი ვარო.

„გადავწყვიტე, რომ ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გამეკეთებინა და ამ რეკორდისთვის დავიწყე სამზადისი. ერთხელ ინდოეთის ავიაციის მამამ ჯეჰანგირ რატანჯი დაბაბჰოიმ თქვა, ავიაციაში წარმატებას რომ მიაღწიო, სულაც არ არის აუცილებელი, რომ გიჟი იყო, მაგრამ ეს კაცს ძალიან ეხმარებაო...

ჩემზეც იგივე შეიძლება ითქვას“.

ვიჯაიპატ სინგჰანია ერთადერთი ინდოელია, რომელმაც საავიაციო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს მედალი მოიპოვა. მას ეს მედალი 1994 წელს განხორციელებული 24-დღიანი ფრენისთვის გადაეცა, როცა 34 კილომეტრი დაფარა.



# კაცია თუ მანქანა

**გვინდოდა** გვეთქვა, ბერძენმა სტაიერმა იანის კუროსმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლაო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ამ კაცმა ერთი გარბენით ხუთი მეტად უჩვეულო მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

კუროსმა ავსტრალიაში მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი, 6-დღეღამიანი გარბენი განახორციელა. ამასთან, ეს მორბენალი არა მხოლოდ დაღლასა და გამძლეობას ებრძოდა, არამედ ამინდსაც — რბენისას მას ისეთი ქარიშხალი დაატყდა თავს, რომ რამდენიმე ტრავმა მიიღო. მიუხედავად ამისა, მას რბენა არ შეუწყვეტია.

ამ გარბენისას კუროსმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 500 კილომეტრზე. თანაც არა მხოლოდ თავისი ასაკობრივ ჯგუფში (45-49 წელი), არამედ აბსოლუტურ ჩათვლაში.

მეორე რეკორდი მან თავის ასაკობრივ ჯგუფში 1000 კილომეტრზე დაამყარა.

მესამე რეკორდი სტადიონზე ხანგრძლივ რბენაში გააუმჯობესა. მან 6 დღეღამეში 1036 კილომეტრი და 851 მეტრი დაფარა, რითაც თავისი... 20 წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. კუროსის ის 20 წლის წინანდელი რეკორდი 1023 კილომეტრსა და 200 მეტრს შეადგენდა.

მეოთხე რეკორდი შეუჩერებლად მაქსიმალურად გრძელ დისტანციაზე დაამყარა. აქაც ძველი რეკორდი ისევ და ისევ კუროსს ეკუთვნოდა, რომელიც 1988 წელს იყო დამყარებული.

და ბოლოს მეხუთე რეკორდი იანის კუროსმა რბენის ხანგრძლივობაში დაამყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა







X700

## Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1,3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

ELIT ELECTRONICS

Elit Electronics – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

3 года бесплатного сервисного обслуживания.

SAMSUNG



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე გიორგი კაკაბაძე სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge